

ქრისტიანული კვართი და მისი თაყვანისცემა ქართულ ქრისტიანულ ტრადიციაში

ქეთევან ოჩიკიძე

საკვანძო სიტყვები: ქრისტეს კვართი, სვეტიცხოველი, ტრირი, არჟანტეი, რელიქვიების თაყვანისცემა, პილიგრიმობა, კვართის იკონოგრაფია.

სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით, აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქრისტიანული ეკლესიები, ქრისტიანობის ერთ-ერთი ყველაზე საკრალური სიწმინდის – ქრისტეს კვართის დავანების ადგილად სვეტიცხოვლის (საქართველო), ტრირის (გერმანია), არჟანტეის (საფრანგეთი) ტაძრებს ასახელებენ, სადაც მის მიმართ განსაკუთრებით ძლიერი თაყვანისცემის ტრადიცია ჩამოყალიბდა.

სვეტიცხოვლის საძირკველში ქრისტეს კვართის არსებობა ქართული მართლმადიდებლობის ქვაკუთხედად, ქართველი ხალხის ეროვნული იდენტობისა და სულიერი ერთობის განმსაზღვრელ ფაქტორად იქცა, ხოლო ტრირისა და არჟანტეის კათედრალურებში მან საფუძველი ჩაუყარა წმინდა რელიქვიის მომლოცველობისა და მძლავრი პილიგრიმული მოძრაობის განვითარებას.

აღმოსავლეთ და დასავლეთ საქრისტიანოში ქრისტეს კვართის თაყვანისცემა ადგილობრივ ისტორიულ-კულტურულ კონტექსტს დაუკავშირდა, რამაც განაპირობა მასთან დაკავშირებული სიუჟეტების მხატვრული ასახვის სპეციფიკა. ქართულ ხელოვნებაში, დასავლეთეგრობული მაგალითების მსგავსად, კვართი ვნების ციკლის ნაწილია, თუმცა, ამავდროულად იგი მჭიდროდ უკავშირდება ეროვნულ იკონოგრაფიას, ხოლო გვიან შუა საუკუნეებში სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სიმბოლოდაც ყალიბდება. თავის მხრივ, დასავლეთ ევროპის მხატვრულ ტრადიციაში კვართი, როგორც დამოუკიდებელი საკულტო სიმბოლო, უპირატესად მომლოცველობის ფენომენთან მჭიდრო კავშირში განიხილება.

წინამდებარე კვლევა წარმოაჩენს, თუ როგორ იქნა გააზრებული ერთი და იგივე სიწმინდე ორ განსხვავებულ ისტორიულ-კულტურულ სივრცეში და როგორც ჰპოვა მან უნიკალური ვიზუალური გამოხატულება აღმოსავლეთის და დასავლეთის ქრისტიანულ ხელოვნებაში.

ქრისტიანობის ერთ-ერთ მთავარ სიწმინდეს – ქრისტეს კვართს საკუთარ სულიერ და მატერიალურ მემკვიდრეობად მიიჩნევენ აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქრისტიანული ეკლესიები. კვართის დავანების ადგილად რამდენიმე ქვეყანა სახელდება – საქართველო, გერმანია, საფრანგეთი. მიუხედავად საერთოქრისტიანული საფუძველისა, მართლმადიდებლური აღმოსავლეთისა და კათოლიკური დასავლეთის ისტორიულ-კულტურული კონტექსტის გათვალისწინებით, მაცხოვრის კვართის მნიშვნელობა და თაყვანისცემის ტრადიცია ორ სივრცეში განსხვავებული სა-

ხით ჩამოყალიბდა.

ზემოაღნიშნული კონტექსტების გამორკვევის პარალელურად, წინამდებარე კვლევის მიზანია ქრისტეს კვართის მხატვრულ-იკონოგრაფიული მახასიათებლების წარმოჩენა ქართული ხელოვნების ქრონოლოგიურ ჭრილში. სხვადასხვა ეპოქისა და კულტურული გარემოს პირობებში კვართმა ახალი ფორმა და შინაარსი შეიძინა. მათი კომპლექსური შესწავლა საშუალებას გვაძლევს გამოიკვეთოს გამოსახულებათა როგორც სიუჟეტურ-კომპოზიციური თავისებურებანი, ისე სიმბოლურ-თეოლოგიური შინაარსი და განისაზღვროს,

თუ როგორ ყალიბდება მხატვრულ პრაქტიკაში სიწმინდისადმი დამოკიდებულება და იკონოგრაფიული ტრადიციის ჩამოყალიბების გზები, ორ ქრისტიანულ სამყაროში; როგორ გარდაიქმნება ერთი და იგივე რელიგიური ფენომენის მნიშვნელობა სხვადასხვა გეოგრაფიულ და კულტურულ არეალში. აღნიშნული საკითხების გამორკვევა მნიშვნელოვნად გვესახება, ვინაიდან, ქართულ სახელოვნებათმცოდნეო სივრცეში, ისინი სპეციალური შესწავლის საგანი არ გამხდარა. ჩვენი კვლევა წარმოადგენს ცდას - ერთიან პერსპექტივაში გავიაზროთ ქრისტეს კვართის თაყვანისცემისა და გამოსახვის ფენომენი და სამეცნიერო დაკვირვებების საფუძველზე, ამ მიმართულებით გავამდიდროთ ცოდნა.

ქართული ქრისტიანული ტრადიციის მიხედვით, მაცხოვრის კვართის ადგილსამყოფელად მიჩნეულია სვეტიცხოვლის ტაძარი მცხეთაში. წყაროებზე დაყრდნობით,¹ ქრისტეს ჯვარცმის² შემდეგ, მისი კვართი მცხეთაში იქნა გადმოტანილი, სადაც ადგილობრივი საკულტო და სიმბოლური სივრცის ცენტრალურ ელემენტად იქცა. ამ ტრადიციასთან დაკავშირებული ნარატივები, მათ შორის წმინდა ნინოს მოღვაწეობა და კვართის დაფლვის ადგილზე ამოსული ხისგან დამზადებული „სუეტი ცხოველის“ სასწაულების აღწერა, მნიშვნელოვან როლს ასრულებს კვართის კულტის ფორმირებასა და მის ვიზუალურ რეპრეზენტაციაში.

ამრიგად, ქრისტეს კვართი და ცხოველი სვეტი ერთმანეთს მჭიდროდ დაუკავშირდა სვეტიცხოვლის ტაძარში, რომელიც ქართველთა სულიერი ერთობის ნიშანსცეხად იქცა. აღნიშნული გადმოცემები განსაკუთრებული სიმბოლური მნიშვნელობით აღიბეჭდა ქართველი ხალხის კოლექტიურ მეხსიერებაში.

ქართლის გაქრისტიანებიდან მოყოლებული,

ახალ და ძველათქმისეულ წმინდა ადგილებთან დაკავშირებულ ხატებათა შექმნის კვალდაკვალ, ქართველთა ცნობიერებაში ქალაქი მცხეთა მეორე იერუსალიმად იქცა. ქრისტეს კვართის დაფლვის ადგილი - მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარი - იერუსალიმის მაცხოვრის საფლავის ერთგვარი განსახიერება გახდა,³ სადაც ღმრთისმსახურების იერუსალიმური წესიც აღესრულებოდა.⁴ ტაძრის საფუძველში ქრისტეს კვართისა და ცხოველი სვეტის არსებობამ საკრალური და ისტორიული შინაარსი შეიძინა - ეს მოვლენა არა მხოლოდ ქართლის მოქცევის ამბავს დაუკავშირდა, არამედ საფუძველი ჩაუყარა სვეტიცხოვლის ტაძრის - როგორც სულიერი და კულტურული ერთიანობის ერთგვარ სიმბოლოდ ჩამოყალიბებას და ეროვნული იდენტობის განსაზღვრას. თავს დატეხილი არაერთი განსაცდელის ჟამს, სვეტიცხოველი ახსენებდა ქართველებს სიწმინდის ფლობით ხამგასმულ ღვთივგამორჩეულობას. ისტორიული თუ ლეგენდარული ფორმით ქრისტეს კვართის არსებობა სვეტიცხოველში საქართველოს ეკლესიას საფუძველს უმაგრებდა ქრისტიანულ სამყაროში.

თვალისთვის უხილავი მაცხოვრის კვართი, ქართველი ხალხისთვის ქრისტიანული რწმენის მატერიალურ სიმბოლოდ წარმოგვიდგება, რომელსაც დღესაც არ დაუკარგავს აქტუალობა. ამ რწმენისა და ქრისტიანული სიწმინდეების თაყვანისცემის მაგალითია XII საუკუნის მეორე ნახევრის საეკლესიო მოღვაწის, ქართლის კათოლიკოს-პატრიარქის, ნიკოლოზ გულაბერისძის მიერ დაწერილი საკითხავი და საგალობელი „სუეტისა ცხოველისად, კუართისა საუფლოსად და კათოლიკე ეკლესიისად“,⁵ რომლის საფუძველზე მოგვიანებით შექმნილი აკათისტო და პარაკლისი მათ მიმართ ქებისა და ვედრების გამოხატულებაა. შუა საუკუნეებში წმინდა რელიქვიის ძალით

1 აბულაძე (რედ.), ძველი, 1963.

2 „და ვითარცა ჯუარს-აგუეს იგი, განიყვეს სამოსელი მისი და განიგდეს წილი, რაითა აღესრულოს თქმული იგი წინააღმართეყუელისა მიერ, რომელსა იტყვს: განიყვეს სამოსელი მისი მათ შორის და კუართსა ჩემსა ზედა განიგდეს წილი“ (იოანე 19:23-24, მათე 27:35, ლუკა 23:34, ფს.: 21:18). მცხეთელი ებრაელების მიერ კვართის მცხეთაში ჩამოტანის შესახებ უძველესი წერილობითი ცნობა „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს VII საუკუნის ტექსტშია დაცული და სავარაუდოდ, ეფუძნება ქართულის გაქრისტიანების უფრო ადრეულ გადმოცემას: Rapp, Studies., 2003, გვ. 111; ალექსიძე, მოქცევა, 2007, გვ. 7. მცხეთაში დაბრუნებული ელიოზის დამ განცდით „შეიტკბო მკერდსა მისსა“ ქრისტეს კვართი და იქვე აღესრულა. უძველეს საისტორიო წყაროებში ელიოზის დის სახელი არსად იხსენიება, ის უცნობია. XIX საუკუნის შუა ხანებიდან ლიტერატურაში მკვიდრდება ქალწულის სახელი - „სიდონია“, რასაც რეალური საფუძველი არ გააჩნია. იხ.: გონჯილაშვილი, იკონოგრაფიის, 2014.

3 გენგიური, არქიტექტურის, 2008, გვ. 278-279.

4 მგალობლიშვილი, ახალი, 2013, გვ. 16.

5 გულაბერისძე, საკითხავი, 2007.

და ცხოველი სვეტის საშუალებით აღსრულებული სასწაულები კვართის აქ მყოფობას ადასტურებს.⁶ ქართული მართლმადიდებელი ეკლესია, ყოველწლიურად, ახალი სტილით 14 ოქტომბერს, სვეტიცხოვლის ტაძარში საზეიმო მსახურებით აღნიშნავს დღესასწაულს კვართისა საუფლოდსა და სვეტისა ღმრთივბრწყინვალისა და მირონმდინარისა, მთელი ქვეყნიდან შეკრებილი მრევლის მონაწილეობით. ამრიგად, ჩვენთვის კვართის სულიერი ღირებულება და მისდამი განსაკუთრებული დამოკიდებულება საუკუნეთა სიღრმეებიდან მომდინარეობს. სვეტიცხოველი და მასში დაფლული კვართი წარმოადგენდა და წარმოადგენს ეროვნული იდენტობის ღერძს, სახელმწიფოებრივ სიმბოლოს, ქვეყნის საკრალურ ცენტრს, საქართველოს „ღმრთისაგან რჩეულობის“ იდეის საფუძველს.

რაც შეეხება კათოლიკური ეკლესიის გადმოცემებს მაცხოვრის კვართის ადგილსამყოფელის შესახებ,⁷ მათ მიხედვით, ქრისტეს უნაკერო კვართი გერმანიის ქალაქ ტრირის წმინდა პეტრეს კათედრალში დღემდე ინახება.⁸ საუკუნეების განმავლობაში, წმინდა რელიქვია არაერთხელ გამოიფინა მომლოცველებისთვის, რამაც მძლავრი პილიგრიმული მოძრაობა გამოიწვია.

შუა საუკუნეების კიდევ ერთი ცნობა კი – რუ-

ანის მთავარეპისკოპოსის, ჰუგოს მიერ 1156 წელს შედგენილი საბუთი (სავარაუდოდ, ადრეული ხანის ქრონიკების საფუძველზე მომზადებული) – შეიცავს ამბავს იმის შესახებ, რომ IX საუკუნის I ნახევარში, საფრანგეთის ქალაქ არჟანტეის (ფრანგულად: Argentueil) ბენედიქტელთა მონასტრის საგანძურში აღმოჩნდა ჩვილი იესოს შესამოსელი, რომელიც აქ კარლოს დიდის წყალობით მოხვდა.⁹ მოგვიანებით მას მოიხსენებენ უნაკერო კვართად¹⁰. რელიქვია დღეს არჟანტეის წმინდა დიონისეს ტაძარშია (XIX საუკუნე) დაცული.

რომის კათოლიკური ეკლესია ტრირსა და არჟანტეიში არ აღნიშნავს კვართთან დაკავშირებულ რეგულარულ დღესასწაულს,¹¹ თუმცა, განსაკუთრებული გადაწყვეტილებით, დროგამოშვებით (იშვიათად) აწყობს რელიქვიის საზეიმოდ გამოფენას თავგანისცემისთვის, ლიტურგიისა და საჯარო მსვლელობების თანხლებით. აღნიშნული პრაქტიკა მიუთითებს რელიქვიის მიმართ არსებული კულტის სპეციფიკურ ფორმაზე, რომელიც არ არის ჩართული სტატიკურ ლიტურგიულ კალენდარში, თუმცა ინარჩუნებს მაღალი რელიგიური და სიმბოლური მნიშვნელობის სტატუსს. ამასთან, თანამედროვე კვლევებში არ მოიპოვება კონსენსუსი, რომელიც ტრირსა და არჟანტეიში დაცული რელიქვიების ქრისტესადმი კუთვნილებას უტყუ-

6 Натроев, Мцхет, 1901, с. 99.

7 არსებობს ცნობა ქრისტეს კვართის ირანში გატანის შესახებ 1617 წელს ქართლ-კახეთი ააოხრა შაჰ აბასმა, რომელმაც მიტროპოლიტის ჯვარში მოთავსებულ სიწმინდეს მიაგნო. ამასთან დაკავშირებით იხ.: Белокуров, Дели, 1891. 1625 წელს შაჰმა სიწმინდე რუსეთის მეფე მიხეილ თევდორეს ძეს და პატრიარქ ფილარეტს მიაართვა. თხზულებაში ქრისტეს სამოსი აღნიშნულია სიტყვით – *Срачица*, რაც ითარგმნება როგორც შიდა შესამოსელი. ნაშრომში არაერთხელ მეორდება, რომ ის ეცვა ქრისტეს ჯვარცმისას და სისხლით შეიღება როდესაც ჯვარცმულ იესოს ფერდში შუბი აძგერეს (გვ. 13, 20–21, 40). ამ გარემოებაზე ჯეროვანი ყურადღება არ გამახვილებულა. აღნიშნულიდან გამომდინარე, „*Срачица*“ არ შეიძლება წარმოადგენდეს მაცხოვრის კვართს. სვეტიცხოვლიდან კვართის გატანის ფაქტს, გარკვეული არგუმენტების მოშველიებით ეწინააღმდეგება ეგრის (ფსევდონიმით – „ეგრი“ თედო ჟორდანიას მოიაზრება) მიერ ხელმოწერილი სტატია: იხ.: ივერია, 1892, გვ. 2–3.

8 ლეგენდის თანახმად, იმპერატორ კონსტანტინეს დედამ, ელენემ, 327–328 წლებში წმინდა მიწაზე ქრისტიანული სიწმინდეების მოძიებისას, ძელიცხოველთან და სხვა რელიქვიებთან ერთად მაცხოვრის ჯვარცმის დროინდელი შესამოსელი აღმოაჩინა, რომელიც ტრირში იქნა გადატანილი. უძველეს ცნობას რელიქვიის შესახებ წარმოადგენს XII საუკუნის დოკუმენტი, თანახმად ამ საბუთისა, 1196 წელს, კვართი ტრირის კათედრალის კაპელა–სამლოცველოდან მთავარ საკურთხეველში გადააბრძანეს. იხ.: Nickell, Relics 2007, p. 105.

9 გადმოცემის მიხედვით, კვართი საფრანგეთში მოხვდა კონსტანტინოპოლიდან. ბიზანტიის დედოფალმა ირინემ კვართი გადასცა კარლოს დიდს, მისი კორონისაციის შემდეგ. კარლოს დიდმა ის ქალიშვილს, თეორადას (თეოდრადა) უბოძა, რომელიც არჟანტეის მონასტრის წინამძღვარი იყო. Treppa (ed.), Sindonological, 2025, გვ. 147.

10 ჩვილი იესოს შემოსევის შემდგომში უწოდებენ უნაკერო კვართს, რომელიც თითქოს ღმრთისმშობელმა მარიამმა პატარა იესოს მოუქსოვა. შესამოსელი სასწაულებრივად იზრდებოდა იესოსთან ერთად და მთელი ცხოვრების მანძილზე ეცვა. აქ მოხდა ორი გადმოცემის აღრევა. XVIII საუკუნის ბოლოს, ფრანგული რევოლუციის დესტრუქციისაგან გადარჩენის მიზნით, შესამოსელი დაანაწევრეს, მისი ნაწილები კი სხვადასხვა ადგილას გადამალეს. 1980-იან წლებში ნაწილები შეკრიბეს და კვართი შეძლებისდაგვარად აღადგინეს.

11 რომის ეკლესიის დღესასწაულთა კალენდარი.

არად დაადასტურებდა.¹² აღნიშნული გარემოება განაპირობებს რელიქვიის მნიშვნელობის ინტერპრეტაციის არა მხოლოდ როგორც ისტორიული ავთენტურობის საკითხს, არამედ როგორც რელიგიური რწმენის, ტრადიციისა და კულტურული მემკვიდრეობის ნაწილს.

რომის ეკლესიის აქტიური ჩართულობით, შუა საუკუნეების ქრისტიანულ სამყაროში ფართოდ იყო გავრცელებული სიწმინდეებითა და რელიქვიებით ვაჭრობა, წმინდა ნაწილების ქურდობა. რელიქვიებისთვის ნამდვილობის წარმოსახენად მათი მფლობელები არ ერიდებოდნენ ტყუილსა და ფალსიფიკაციას. რელიქვიების ფლობა ცალკეული კათედრალის, მონასტერის ეკომონიკურ, სოციალურ, კულტურულ პოტენციალს აძლიერებდა და მათ განსაკუთრებული რელიგიური ცენტრის ლეგიტიმაციას ანიჭებდა. ეკლესია დაინტერესებული იყო შეექმნა სიწმინდის ადგილი, რომელიც მოუტანდა შემოსავალს პილიგრიმობისა და მომლოცველობის პრაქტიკით; გაზრდიდა მის ავტორიტეტს და ამით განავითარებდა მონასტერს, როგორც რელიგიურ ცენტრს, მოიპოვებდა გავლენას მორწმუნეებზე.¹³

ასეთ ვითარებაში პილიგრიმობამ დიდ მასშტაბებს მიაღწია და მთელი ევროპა მოიცვა.¹⁴ წმინდანთა ნაწილების, სხვადასხვა სიწმინდეების, მათ შორის ტრირის და არჟანტეის კვართისთვის თავყანსაცემად მისული მორწმუნეებისთვის ინდულგენციები გაიცემოდა¹⁵ და შუა საუკუნეების ადამიანს ცოდვებისგან სიცოცხლეშივე გამოხსნის შესაძლებლობას აძლევდა.

მომლოცველობასა და რელიქვიების თავყანსაცემას საქართველოშიც ღრმა ფესვები აქვს, მაგრამ საქართველოში ქრისტეს კვართის მოლოცვისთვის ფართომასშტაბიანი პილიგრიმული მოძრაობის შესახებ ინფორმაცია ჩვენთვის ცნობილი არაა.¹⁶

აღნიშნულმა გარემოებებმა განაპირობეს საქართველოსა და დასავლეთის ქრისტიანულ ხე-

ლოვნებაში კვართთან დაკავშირებული სიუჟეტების გამოსახვის თავისებურებები, რომელთა შესწავლამ საინტერესო მასალა გამოავლინა.

ცხადია, ასეთი დიდი სიწმინდის ფლობას უკვალოდ არ ჩაუვლია და ქართულ ხელოვნებაში ამ თემამ ორიგინალური ასახვა პოვა. კვართისა და სვეტი ცხოველის ამბავმა შუა საუკუნეების ქართული ხელოვნება ეროვნული იკონოგრაფიული თემით გაამდიდრა. ქრისტეს კვართის გამოსახვა მჭიდროდ დაუკავშირდა ცხოველი სვეტის მისტერიას, რის გამოც წმიდა ნინო, ცხოველი სვეტი, წმიდა ქალწული – ელიოზის და, კვართი და ასე შემდეგ, კომპოზიციებში თითქმის ყოველთვის ერთად გამოისახებიან. კვართი, ასევე, ვნების ციკლის ნაწილი გახდა და ქრისტიანულ ხელოვნებაში ჯვარცმის სცენაში დამკვიდრდა. ჩვენამდე შემორჩენილი ქართული მაგალითები მაცხოვრის კვართისა, გვხვდება შუა საუკუნეების ხელოვნების სხვადასხვა ფორმით, ესაა – შუა საუკუნეების ხელნაწერი წიგნის მინიატურა, კედლის მხატვრობა, ლიტურგიკული ნივთები, სფრაგისტიკა და ჰერალდიკა, მისი გამოსახულება შემოინახა ბეჭდურმა და გრაფიკულმა მასალამ.

კვართის უძველესი მხატვრული ნიმუშები ხელნაწერი წიგნის მინიატურებშია დაცული. მათ შორის ყველაზე ადრეულია XII საუკუნის გელათის ოთხთავის ჯვარცმის კომპოზიციები, კვართისთვის წილის ყრის სახარებისეული თხრობით (Q – 908, 215v, 272r) (სურ. 1). იგივე სცენაა მოქვის სახარების (1300 წელი) მინიატურაში (Q – 902, 98v), სადაც ჯვარცმული ქრისტეს ფეხებით ჯარისკაცები (გელათის ოთხთავის მინიატურებზე საერო პირები არიან) წილს იყრიან კვართისთვის. ბიბლიური თხრობის თითოეული დეტალი აქ ღრმა სიმბოლურ მნიშვნელობას იძენს. სახარებისაგან განსხვავებით, ფსალმუნთა (ფს. 3, 21:19) ილუსტრაციებში კვართი სხვაგვარადაა გადმოცემული. ეგრეთ წოდებული თეთროსნის დავითნისა (XVI საუკუნე) (H – 75, 20r) (სურ. 2) და ეგრეთ წოდებული ჯრუჭის

12 PETITFILS, La Sainte, 2024.

13 GEARY, Furta, 1990.

14 უამრავი ადამიანი მიდიოდა წმინდა ნაწილებისა და რელიქვიების მოსალოცად. მაგალითად: 1891 წელს, ქრისტეს კვართის მოსალოცად ტრირში თითქმის 2 მილიონი ადამიანი მივიდა, 1840 წელს კი – დაახლოებით 1 მილიონი.

15 Lauchert, Holy.

16 სვეტიცხოვლის ტაძარში პილიგრიმული წარწერების არსებობის საკითხი სპეციალურად შესწავლილი არ ჩანს. ამასთან, ხელოვნებათმცოდნე ეკატერინე გედევანიშვილის მითითებით, მსგავსი მასალა შესაძლოა იძებნებოდეს მცხეთასთან დაკავშირებულ დოკუმენტურ წყაროებში, მაგალითად: მცხეთის საბუთებში (პირადი კომუნიკაცია).

ფსალმუნის (XVII საუკუნე) (H – 1665, 172v) მინიატურები¹⁷ ერთმანეთის იდენტურია – კომპოზიციის ცენტრში ერთგვარ ტახტრევანზე დასვენებული კვართის ირგვლივ შემოკრებილი ძვირფასი სამოსით შემოსილი ადამიანები ერთმანეთში ბჭობენ და მოწიწებით მიუთითებენ კვართზე.¹⁸ სახარებებში კვართი ლურჯი ფერის ნაოჭებიანი ქსოვილია, მას არა აქვს გარკვეული ფორმა და პირობითად ასახავს სამოსს. ფერით ის ქრისტიანულ იკონოგრაფიაში მიღებული ქრისტე პანტოკრატორის ჰიმაციონის იდენტურია. ფსალმუნებში კი კვართი პირიქით, კონკრეტული თარგის მქონე, მეწამული/მოლურჯო ფერის სახეებიანი ტექსტილის, ხალათის ტიპის ძვირფასი შესამოსელია – საყელოთი, ოქროს ფოლადებით, ორნამენტული ოქროქსოვილი სამკლავრებითა და ქობით. სახარებისეული თხრობა კვართს სიმბოლურ მნიშვნელობას ანიჭებს (ჰიმაციონის მსგავსად), თეოლოგიური იდეის აქცენტირებას ახდენს და განზოგადებულად წარმოაჩენს, მაშინ როცა ფსალმუნთა მინიატურებში ის მკაფიოდ მატერიალურია, კონკრეტულ ფორმასა და მდიდარ დეკორატიულ დამუშავებას დაქვემდებარებული, რითიც, თითქოსდა, მისი საკულტო მნიშვნელობაა ხაზგასმული.

XVIII და XIX საუკუნის ქართულ ხელნაწერთა მინიატურებში (სადღესასწაულოები, ალბომი), კვართის იკონოგრაფია სვეტიცხოვლის კულტის კონტექსტში განიხილება. აღნიშნული პერიოდისთვის სახეზეა ლოკალური ტრადიციის გაძლიერება, რაც შესაძლოა კავშირში იყოს რუსეთის კავკასიით დაინტერესების პირობებში კულტურული

იდენტობის ჩვენება-შენარჩუნებასთან. მინიატურებში მოცემულია წმინდა ნინო და ცხოველი სვეტის ქვეშ დასვენებული ქალი, გულში ჩაკრული საუფლო კვართით (A – 152, 37v,¹⁹ A – 425, 58r,²⁰ S – 4978, 015r²¹). ქალს განმარტებითი წარწერა არ აქვს. ნიშანდობლივია, რომ უძველეს ქართული ხელნაწერებში და უცხოურ წყაროებში არც ერთში არ არის ნახსენები ელიოზის დის სახელი, შესაბამისად, მის გამოსახულებაზეც სახელი არ არის მითითებული მე-19 საუკუნემდე. პირველად ელიოზის დის სახელი „სიდონია“ იხსენიება თეიმურაზ ბაგრატიონის თხზულებაში „ისტორია დაწყებითგან ივერიისა“ (1848). ძველ ქართულ ტექსტებში ის მოიხსენიება როგორც „დაი ელიოზისი“, „დედაკაცი“, „მკუდარი“, ხოლო მოგვიანო ტექსტებში „და“, „ქალწული“.²²

მინიატურებზე კვართი თეთრი, ცისფერი ან წითელი ფერის, დრპირებული, სადა ან მსუბუქად დეკორირებული კონკრეტული სამოსია, ის აღარ არის დაკავშირებული მხოლოდ ქრისტეს ვნებასთან, არამედ წარმოდგენილია ქართლის მოქცევის ნარატივთან დაკავშირებულ სიწმინდედ, რომელიც დამოუკიდებელ იკონოგრაფიულ თემად გვევლინება.

გემოაღნიშნული იკონოგრაფიული სიუჟეტი ფართოდ გავრცელდა ქართულ ხელოვნებაში და ძირითადად გვიანი შუა საუკუნეებიდან შემოგვრჩა ტედური და ფერწერული ნამუშევრების სახით – სვეტიცხოვლის ვერცხლის სანაწილე (ლუსკუმა, XVIII საუკუნე) (სურ. 3) და ცხოველი სვეტის სამირონე ნიშის კარის ვერცხლის შეჭედულობა,²³

17 „თეთროსნის“ დავითნის ტექსტი XVI ს-ის ბოლოს უნდა იყოს გადაწერილი, ხოლო მინიატურები უფრო ადრეული ხანისაა, ჯრუჭის ფსალმუნის მინიატურები კი, სხვადასხვა ვარაუდით, XIII ან XV საუკუნეებს განეკუთვნება. იხ.: კარანაძე და სხვა, ქართული ხელნაწერი მეცნიერება, 2025, გვ. 72-73. მინიატურები ერთმანეთს იმდენად ჰგავს, რომ ჩვენი მოსაზრებით, ისინი, შესაძლოა, ერთ პერიოდში არიან შექმნილნი.

18 კვართის იკონოგრაფია არაერთგვაროვანია: სხვადასხვა ნიმუშზე ის წარმოდგენს მეწამულ, ცისფერ, თეთრ ქსოვილს, მკლავებიან პერანგს და სხვ.

19 XVIII საუკუნის სადღესასწაულოს მინიატურაზე ევროპული მინიატურის აშკარა გავლენაა, ხელნაწერი გადაწერილი და მოხატულია 1742 წელს, მოსკოვში, პეტრე ეპიტაშვილის მიერ. იხ.: ივერია, 1892, გვ. 3; Жордания, Описание, 1902, გვ. 155; Дзюцова, Народное, 2014, გვ. 144.

20 სადღესასწაულო, დომენტი კათალიკოსის რედაქცია, 1718 წ.

21 ალბომი წმინდანთა გამოსახულებებითა და ახალი აღთქმის სიუჟეტური კომპოზიციებით, 1856. იხ.: ბრეგაძე და სხვა (რედ. მეტრეველი), ქართულ, 1969, გვ. 289-291.

22 გონჯილაშვილი, იკონოგრაფიის, 2014, გვ. 134.

23 ლუსკუმისა და კარის შეჭედულობის ფოტოები დ. ერმაკოვის ფოტოკოლექციაშია დაცული. ლუსკუმა ამჟამად ინახება ხელოვნების ისტორიის მუზეუმში, ვერცხლის კარი კი, როგორც ჩვენთვის ცნობილია, აღარ არსებობს. ფოტოზე ჩანს, რომ ცენტრში ანგელოზი და ცხოველი სვეტია, მის გვერდებზე წმინდა ნინოსა და მირიან მეფის ფიგურებია. სვეტის ძირში დასვენებულია ქალი კვართით. კვართი თითქოს მისი სამოსის ნაწილია – ყელის ზონიდან ეშვება და მუხლს ქვემოთ ერთგვარ დრპირებას ქმნის.

სვეტიცხოვლის საქადაგე ხატის ვერცხლის ბუდის (1716) ზედა ნაწილი, ფერწერულ ხატები (XIX საუკუნე) საქართველოს ხელოვნების მუზეუმიდან („ხ“ 676, „ხ“ 598, „ხ“ 786,²⁴ მათ შორის ყველაზე ცნობილია მიხეილ საბინინის შექმნილი ხატი „საქართველოს დიდება“ (1889) – ცხოველი სვეტის გარშემო შეკრებილი ქართველი წმინდანები და, რა თქმა უნდა, კვართის მიმრქმელი ქალწული, რომელსაც აწერია „სიდონია“; XIX საუკუნის კედლის მხატვრობის ნიმუშებზე (სამთავროს წმ. ნინოს ეკლესია, ბოდბის წმ. გიორგის ეკლესია). ყველა მათგანზე იკონოგრაფიულად სტაბილური სტანდარტული სქემაა მოცემული. ქრისტეს კვართი მეტ-ნაკლებად ერთნაირია ჭედურ ნიმუშებზე – პირობითი ფორმით, სამოსის ან ქსოვილის სახით, რასაც ვერ ვიტყვით ხატებსა და ფრესკებზე, სადაც კვართი მკაფიოდ მატერიალური და დეტალიზებულია – ის სპეტაკი თეთრი ფერის ერთგვარი პერანგია – გრძელი, მკლავებიანი. კედლის მხატვრობაში სიუჟეტი ხატის სტრუქტურასა და პრინციპს იმეორებს – ჩარჩოშია მოთავსებული ან ცენტრალური გამოსახულება შემოსაზღვრულია წმიდა ნინოს ცხოვრების სცენებით. ასე სიუჟეტი აღიქმება არა მხოლოდ ისტორიულ-ლიტერატურულ გადმოცემად, არამედ საკულტო გამოსახულებად.

ძალზე უჩვეულო კომპოზიციას ვხედავთ სვეტიცხოველში, XVII საუკუნეში მოხატულ გრიგოლ გულჯავარასშვილის „სვეტზე“ „ქართლის მოქცევის“ სიუჟეტებით.²⁵

ჯვარცმის სცენაში ჩართულია მამაკაცი კვართით ხელში – მცხეთელი ელიოზი ჯვარცმულს შესცქერის. სახარებისა და ქართლის მოქცევის პასაჟების ამგვარი გაერთიანებით იქმნება ერთიანი თეოლოგიური ნარატივი, სადაც ქრისტეს ჯვარცმა და ქართლის მოქცევა ერთიან პრიზმაში წარმოგვიდგება. ის აღარ არის მხოლოდ სიმბოლო, ის არის წმინდა რელიქვია – მოწითალო-ყავიფერი სადა შესამოსელი ორივე ხელით უჭირავს ელიოზს, რომლის საშუალებით კვართი ქართულ რეალობას უკავშირდება.

კვართისა და სვეტიცხოვლის თემატიკა დეკორატიული ხელოვნების ნიმუშებზეც საინტერესოდ აღიბეჭდა, ესენია – XVIII საუკუნის ფერწერული მინანქარი ცხოველი სვეტისა და კვართის მიმრქ-

მელი წმინდა ქალწულის ფიგურებით ხელოვნების მუზეუმის საგანძურებიდან (სურ. 4), ვახტანგ VI-ის დროშა (1711), ამ უკანასკნელზე სვეტის ქვემოთ მხოლოდ კვართია გამოსახული (სურ. 5).²⁶ ის, რომ მინანქარზე ქალის გულში ჩახუტებული ნივთი წიგნს უფრო ჰგავს ვიდრე შესამოსელს, ფართოდ უხსნის გზას ინტერპრეტაციებს. ერთ-ერთ შესაძლო ახსნას ვუკავშირებთ წიგნის, როგორც ღვთის სიტყვის – ლოგოსის – მნიშვნელობას, რომელიც ქრისტიანულ თეოლოგიაში თავად განკაცებულ ღმერთს აღნიშნავს: „დასაბამიდან იყო სიტყვა და სიტყვა იყო ღმერთთან, და სიტყვა იყო ღმერთი“ (იოანე 1:1). იკონოგრაფიაში წიგნით გამოსახებიან ქრისტე, მახარებლები, ეპისტოლეთა ავტორები, წმინდანები და ასე შემდეგ, მაგრამ ელიოზის დის წიგნით გამოსახვა უჩვეულოა. საფიქრებელია, რომ აქ კვართი ჩანაცვლებულია ქრისტეს სიმბოლური გამოსახულებით, რითიც აქცენტი რელიქვიიდან გადანაცვლებულია ქრისტეს არსის გამომხატველ ნიშანზე. ორივე შემთხვევაში, კვართისა და წიგნის მიღმა ქრისტე მოიხარება და გამოსახულების ზოგადი იდეა არსებითად უცვლელი რჩება, თუმცა, ყურადღება გამახვილებულია არა მატერიალურ სიწმინდეზე, არამედ მის დოგმატურ და სულიერ მნიშვნელობაზე. ფერწერული მინანქარის დეტალური კვლევა მომავალში საშუალებას მოგვცემს საფუძვლიანად შევისწავლოთ ზემოაღნიშნული საკითხი და სწორად გავიაზროთ მოცემული იკონოგრაფიული რედაქცია. რაც შეეხება ვახტანგ VI-ის დროშას, აქ ჰორიზონტალურად დასვენებული მოწითალო ფერის კვართი, მკლავებითა და საკინძით, ქალწულის გარეშეა გამოსახული. მსგავსი რედაქცია აწმყო დროის საეკლესიო ხელოვნებაში გვხვდება.

აღსანიშნავია, რომ კვართისა და სვეტის გამოსახვას თანამედროვე ხატწერას (მაგალითად: შალვა ცინცაძის ნამუშევრები) და ეკლესიათა მოხატულობაშიც (ზემო ბეთლემის, ლურჯი მონასტრის, საბურთალოს წმ. კვირიკესა და ივლიტას, ჩიტაძის წმ. ნინოს ეკლესიის და ასე შემდეგ მოხატულობები)²⁷ არ დაუკარგავს აქტუალობა და მნიშვნელოვან მოტივად რჩება, როგორც დროში გამოცდილი თემა. ჩვენს ეპოქაში ძველი გადმოცემის განახლებული ფორმით ასახვა მხატვრული

24 ღლონტი (რედ.), წმინდაა, 2015. ილუსტრაციები 65, 86, 87, გვ. 672-674.

25 ბერიძე, მცხეთის, 1948, გვ. 135-164.

26 ღლონტი (რედ.), წმინდაა, 2015, ილუსტრაციები 92, 103, გვ. 675-686.

27 ოსეფაშვილი, ზემო, 2021, გვ. 95-103.

ტრადიციის უწყვეტობაზე მიუთითებს.

საინტერესო მასალას იძლევა სფრაგისტიკა - XVII-XVIII საუკუნეების სამეფო (ერეკლე II-ისა და გიორგი XII-ის საბეჭდავები) და საკათალიკოსო საბეჭდავები (დომენტი II-ის, დომენტი III-ის, ბესარიონ ორბელიშვილის საბეჭდავები) შეიცავენ ცხოველი სვეტის სასწაულებრივი აღმართვის სცენას, სადაც სვეტის ქვემოთ ასვენია ქალწული მაცხოვრის კვართით. იგივე სიუჟეტი უნდა ყოფილიყო გამოყენებული ადრეულ საბეჭდავებზეც.²⁸ საკათალიკოსო საბეჭდავებისთვის ამ კომპოზიციის სახისმეტყველება სვეტიცხოვლის საკათალიკოსო ეკლესიის ფენომენს უკავშირდება და მისი ლეგიტიმაციის დადასტურებაა. ის წარმოაჩენს სვეტიცხოვლის - საკათალიკოსო ეკლესიის განსაკუთრებულ სტატუსს და ავტორიტეტს. საბეჭდავების მცირე ზომებიდან გამომდინარე, კომპოზიცია შემჭიდროებულია, გრაფიკულადაა მოცემული ქსოვილი ქალის მკერდთან.

მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ მაცხოვრის კვართი საქართველოს სამეფო ღერბზე დამკვიდრდა. ამით ბაგრატიონები წარმოჩენილნი არიან ქრისტეს კვართის, შესაბამისად, ქრისტიანობის მცველებად. ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოების მეფეთა (ვახტანგ VI, ერეკლე II, გიორგი XII, სოლომონ II) ღერბებზე კვართის გამოსახვა ნათლად ავლენს სიმბოლურ ძალას აღნიშნული სიწმინდისა, რომელიც არა მხოლოდ რელიგიური, არამედ დინასტიური და პოლიტიკური ლეგიტიმაციის მნიშვნელოვან ინსტრუმენტადაც ყალიბდება. ზემოხსენებულ მაგალითებზე, კვართი წარმოდგენილია ცენტრში, დამოუკიდებლად (სვეტისა თუ ქალწულის გარეშე), სამეფო ინსიგნიების, მართვისა და პყრობის ნიშნებთან ერთად. კვართი ნარატიული კონტექსტიდან ჰერალდიკურ სიმბოლოდ და სამეფო იდენტობის ერთ-ერთი მთავარ ატრიბუტად ტრანსფორმირდა. სტამბის დაარსებისა და ბეჭდური კულტურის განვითარების კვალდაკვალ, სამეფო ღერბი აქტიურად გვხვდება ნაბეჭდ გამოცემებში (მაგალითად: ვახტანგ VI-ის დროინდელი ნაბეჭდი წიგნები), რაც ხელს უწყობს აღნიშნული სიმბოლოს ფართოდ გავრცელებასა და პოპულარიზაციას და მისი იდეოლოგიური მნიშვნელობის გამყარებას.

ამრიგად, კვართი ხდება ეკლესიისა და სახელმწიფოს პოლიტიკური იდენტობის ოფიციალური ნიშანი, ძალაუფლების ლეგიტიმაციის აღმნიშვნე-

ლი, გამოყენებული როგორც საკათალიკოსო, ისე სამეფო ინსტიტუტების მიერ.

ქართული ნიმუშების განხილვა ცხადყოფს, რომ ქრისტეს კვართის გამოსახვა ხასიათდება ფორმის სტაბილურობით, მისი იკონოგრაფიული სქემა მდგრადია, ვიზუალური გადაწყვეტა კი ცვალებადი: ის შეიძლება წარმოდგენილი იყოს პირობითი, სქემატურად გადმოცემული ქსოვილის ან პირიქით - დეტალიზებული, კონკრეტული, დეკორატიულად დამუშავებული სამოსის სახით. ფერწერულ ნამუშევრებში ის მეტად მოცულობითია, შედარებით ადვილი აღსაქმელია ფერი, ფაქტურა და შესაბამისად, რეალისტურია, მაშინ როდესაც ჭედურ ნიმუშებში გამოსახულება უფრო სიმბოლურია. ამასთან, გვხვდება კვართის სხვა ნიშნით (წიგნით) ჩანაცვლების შემთხვევაც, რაც მიუთითებს მის გააზრებაზე არა მხოლოდ მატერიალურ სიწმინდედ, არამედ ქრისტეს სახისმეტყველებით ხატებად. სხვადასხვა მედიუმში გამოსახულება ფუნქციურად განსხვავებულია და აღინიშნება ნარატიული, ლიტურგიკული, სალოცავი ხასიათით.

კვართის გამოსახვასთან დაკავშირებით განსხვავებული სურათი იკვეთება შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპის ქრისტიანულ ხელოვნებაში. აქ ხშირია ჯვარცმის სცენები კვართზე წილის ყრის მომენტით, სადაც ის პირობითად ასახული ქსოვილი ან კონკრეტული სამოსია, ძირითადად მეწამული ან ღურჯი ფერისა, მაგრამ ძალზე იშვიათია გამოსახულება, რომელიც აქცენტს გააკეთებდა უშუალოდ კვართზე, როგორც დიდ სიწმინდებზე, განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე რელიქვიამზე. ფსალმუნთა დასურათებაში კვართისთვის წილყრა მოცემულია ცალკეც, დამოუკიდებლად (ულტრეხტის ფსალმუნი, 830 წელი, 12r.) და ჯვარცმის სცენაშიც (შტუტგარტის (820-830 წლები) (სურ. 6), ხლუდოვის (IX ს.), დედოფალ მერის (1310-1320 წლები (fol. 256v) ფსალმუნები). XIV-XIX საუკუნეების ფერწერულ ნამუშევრებზე (მათ შორის ხატებზე), ხშირად შევხვდებით ერთ კომპოზიციაში გაერთიანებულ ორივე სცენას. თავად ტრირის (1235-1270 წლები) ტაძარი, მისი ფასადები, შიდა მორთულობა არ შეიცავს გამოსახულებას, კომპოზიციას მიძღვნილს წმინდა კვართისადმი. არჟანტეის კათედრალში (1861-1866 წლები) კი, კვართის რამდენიმე გამოსახულება მხოლოდ მისი გამოფენის ადგილს მიუთითებს და სიძველეს არ წარმოადგენს. ტრირის კათედრალის დეკორატი-

28 ბარნაველი, საქართველოს, 1965, გვ. 142.

ულ მორთულობაში კვართის თემატიკის არარსებობის საპირისპიროდ შეიძლება ითქვას, რომ მრავლადაა ილუსტრაციები, რომელიც ტრირის კვართის მომლოცველობის სხვადასხვა პერიოდს ასახავს. XVI საუკუნის გერმანულ გრავიურებზე გამოჩნდა კვართის თაყვანისცემის სცენა, რომელიც ერთეულ ნიმუშებად დარჩა. ასეთია, მაგალითად, მეტწილად ისტორიული კონტექსტით განპირობებული იოსტ დე ნეგკერისა და ალბრეხტ დიურერის (მაქსიმილიან I-ის მიერ კვართის თაყვანისცემა) გრავიურები (სურ. 7). XIX საუკუნიდან უკვე მრავლად არის ტიპოგრაფიული მასალა, ძირითადად, საინფორმაციო აფიშა, ბარათი და ასე შემდეგ, ტრირის კვართის მოსალოცად გამოფენის შესახებ და მასში მონაწილეობის მიღების მოწოდებით (სურ. 8).

დასავლეთევროპული მასალის მიხედვით, ქრისტეს კვართის გამოსახვა აქ განსხვავებულად ვითარდება: ჯვარცმისას სამოსზე წილის ყრის ეპიზოდი ნარატიული ხასიათისაა, კვართი იშვიათად იძენს დამოუკიდებელ, საკულტო მნიშვნელობას. ის ფსალმუნთა დასურათებაშიც სიუჟეტის ნაწილად რჩება, მიუხედავად მისგან გამოყოფის ცალკეული შემთხვევებისა. ისეთი მნიშვნელოვანი რელიქვიის არსებობის მიუხედავად, როგორიცაა ტრირის კვართი, უშუალოდ მასზე, მის მნიშვნელობაზე ორიენტირებული გამოსახულება შუა საუკუნეების დასავლურ ხელოვნებაში თითქმის არ გვხვდება. ამის ნაცვლად ყურადღება მიმართულია მომლოცველობის პრაქტიკის გამოსახვაზე.

ამრიგად, ქრისტეს კვართი ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენად გვესახება საქართველოსა და დასავლეთ ევროპის ქრისტიანულ ტრადიციაში, თუმცა ამ ორ სივრცეში მისი თაყვანისცემისა და გამოსახვის ჩვეულება არსებითად განსხვავებულად ვლინდება: თუკი დასავლეთის კათოლიკური ეკლესიისთვის ქრისტეს კვართი წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ქრისტოლოგიურ რელიქვიას, რომელიც სამონასტრო თუ რეგიონული პრესტიჟისა და ძალაუფლების წყაროა, საქართველოში მას გაცილებით ფუნდამენტური მნიშვნელობა ენიჭება – კვართი არა მხოლოდ თაყვანისცემის ობიექტია, ქართულ ქრისტიანულ ცნობიერებაში ის განუყოფლად დაუკავშირდა ქართლის მოქცევის ამბავს, ცხოველი სვეტის მისტერიას და რწმენის, ეროვნული და სულიერი იდენტობის სიმბოლოდ იქცა. სიწმინდის თეოლოგიურმა გააზრებამ განაპირობა უნიკალური ლიტურგიული ტრადიციის ჩამოყალიბებაც

– საქართველოს ეკლესიამ საუკუნეების წინ დააწესა კვართისადმი მიძღვნილი სპეციალური დღესასწაული და შექმნა ლიტურგიული ტექსტებისა თუ საგალობლების ვრცელი კრებული. მაშინ, როდესაც ტრირსა თუ არჟანტეიში სიწმინდის თაყვანისცემა პერიოდულ მომლოცველობას ეფუძნება და არ წამოადგენს ყოველწლიური ლიტურგიული ციკლის ნაწილს, ევროპის სახვით ხელოვნებაში კვართი მხოლოდ ეპიზოდულ ატრიბუტად რჩება (ჯვარცმისას წილის ყრა სამოსზე) და არ გააჩნია გამოსახვის ისეთი მხატვრული ტრადიცია, როგორიც ჩამოყალიბდა საქართველოში: ზემოაღნიშნულმა მიმართებამ განსაზღვრა ქართულ ხელოვნებაში მისი ასახვის ფორმაც – კვართი და მასთან დაკავშირებული გადმოცემები დროში გამოცდილ, თვითმყოფად ეროვნულ იკონოგრაფიულ თემად ჩამოყალიბდა, სადაც რელიქვია სიუჟეტური კომპოზიციის ცენტრალური ელემენტია.

კვართის იკონოგრაფიამ ქართულ ხელოვნებაში XII-XIV საუკუნეებიდან XIX საუკუნემდე მნიშვნელოვანი ევოლუცია განიცადა. უძველეს ნიმუშებზე ის ჯერ კიდევ ჯვარცმის კომპოზიციის ნაწილია, სადაც აქცენტირებულია კვართზე წილის ყრის მომენტი, სიწმინდისადმი განსაკუთრებული ყურადღება კი გვიან შუასაუკუნეებში, XVII-XVIII საუკუნეებში გამახვილდა. ეს პროცესი პირდაპირ კავშირშია აღნიშნული პერიოდის რთულ პოლიტიკურ ვითარებასთან, როდესაც ქვეყნის გადარჩენის გზად ერთიანობა და სულიერი იდენტობის გაძლიერება იქცა. ამ ისტორიულ ფონზე, კვართი ეპიზოდული ატრიბუტიდან დამოუკიდებელ, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სიმბოლოდ ჩამოყალიბდა და შესაბამისი ასახვაც ჰპოვა.

დასავლეთ ევროპის ქრისტიანულ სამყაროში კვართი აღიქმება მატერიალურ სიწმინდედ, რომლის ფლობამ ხელი შეუწყო პილიგრიმობის განვითარებას, ეკლესიის ავტორიტეტისა და გავლენის ზრდას, ინდულგენციებით ვაჭრობის პრაქტიკას. მიუხედავად ამისა, კვართი რჩება ღმრთაებრივი მსხვერპლისა და სასწაულებრივი რწმენის სიმბოლოდ. ევროპულ ხელოვნებაში მაცხოვრის კვართი მეტწილად დასტურდება ჯვარცმის სცენებში ან მისი გამოსახულება დაკავშირებულია მომლოცველობასთან.

სვეტიცხოველში დაფლული უხილავი ქრისტეს კვართი და ტრირსა და არჟანტეიში დაცული ხილული შესამოსელი საერთოქრისტიანული მემკ-

ვიდრეობაა, გაერთიანებული სულიერი მნიშვნელობით, ესაა - რწმენა ღმერთის განკაცებისა და ქრისტეს სიკვდილზე გამარჯვებისა.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ალექსიძე ზ., მოქცევა ქართლისად, ახლად აღმოჩენილი სინური რედაქციები, თბ., 2007.
- ბარნაველი ს., საქართველოს საბეჭდავები და სხვა გლიპტიკური მასალები, თბ., 1965.
- ბერიძე ვ., მცხეთის კათედრალის „სვეტი-ცხოველი“ და ქართლის მოქცევის სიუჟეტები მის ფრესკებში, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XV-B, თბ., 1948.
- ბრეგაძე თ. და სხვა (რედ.: მეტრეველი ე.), ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა VI, ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექცია, თბილისი, 1969.
- გენგიური ნ., არქიტექტურის სიმბოლიკა, სახელოვნებო მეცნიერებათა ძიებანი, N 4 (37), 2008.
- გონჯილაშვილი ნ., იკონოგრაფიის გზით გაცხადებული და დამკვიდრებული წმინდანის სახელი, ქართველოლოგი, N20, (1), 2014.
- გულაბერისძე ნ., საკითხი სუეტისა ცხოველისად კუართისა საუფლოდსა და კათოლიკე ეკლესიისად (გამოსაცემდ მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ნესტან სულავამ), თბ., 2007.
- „ივერია“, N 9, იანვარი 14, 1892.
- კარანაძე მ. და სხვა (რედ.: აბაშიძე ზ.), ქართული ხელნაწერი მემკვიდრეობა, თბილისი, 2025.
- მგალობლიშვილი თ., ახალი იერუსალიმები საქართველოში, თბ., 2013.
- მოქცევაი ქართლისაი, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, რედ. ილია აბულაძე, თბ., 1963.
- ოსეფაშვილი ლ., ზემო ბეთლემის ეკლესიის მოხატულობის შესახებ (XXI საუკუნე), სახელოვნებო მეცნიერებათა ძიებანი, N 2 (87), 2021.
- საბინინი მ., საქართველოს სამოთხე, პეტერბურგი, 1882.
- ლლონტი დ. მ. (რედ.), წმინდა ნინო ემბაზი ქართლისად, მცხეთა, 2015.
- ჩხატარაიშვილი ქ., თეთროსანი და თეთროსნის დავითნი, საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები, კრ. 5, 1986.
- ძველი აღთქმის მინიატურები ქართულ ხელნაწერებში, XI-XVIII საუკუნეები, ალბომი, 2016.
- Белокуров С. А., Дело о присылке шахом Аббасом Ризы Господней царю Михаилу Федоровичу в 1625 году, М., 1891.
- Дзуцова И., Народное направление в грузинской станковой живописи второй половины XVIII-XIX веков, Тб., 2014.
- Жордания Ф.Д., Описание рукописей и старопечатных книг Тифлисского церковного музея Карталино-Хазетинского Духовенства, Тиф., 1902.
- Натроев А., Мцхет и его соборъ Свети-Цховели, Тиф., 1901.
- Geary Patrick J., Furta Sacra, Thefts Of Relics In The Central Middle Ages, 1990.
- Lauchert Friedrich, Holy Coat. <https://www.newadvent.org/cathen/07400b.htm> 05/08/2026
- Nickell Joe, Relics of The Christ, Lexington, 2007.
- Petitfils Jean-Christian, La Sainte Tunique d'Argenteuil, Authentique Relique de la Passion du Christ, Tallandier, 2024.
- Rapp Stephen H., Studies in Medieval Georgian Historiography: Early Texts and Eurasian Contexts, Corpus Scriptorum Christianorum Orientalium, vol. 601, Tomus 113, 2003.
- Treppa Zbigniew, The Tunic of Argenteuil. <https://leksykonsyndonologiczny.pl/en/history-of-the-research-on-the-shroud/comparative-analyses/tunic-of-argenteuil/> 05/08/2026

CHRIST'S ROBE AND ITS VENERATION IN GEORGIAN CHRISTIAN TRADITION

Ketevan Ochkhikidze

Keywords: The Seamless Robe of Christ, Svetitskhoveli, Trier, Argenteuil, veneration of holy relics, pilgrimage, the iconography of Christ's Robe.

Based on various sources, the Eastern and Western Christian Churches identify the Cathedrals of Svetitskhoveli in Georgia, cathedral of Trier in Germany, and Argenteuil Basilica in France claim as the resting places of the Christ's Robe, "Seamless Robe of Christ" one of the most sacred Christian relics, with especially strong traditions of its veneration developed therein.

The presence of the Christ's Robe in the foundation of Svetitskhoveli has evolved as the cornerstone of Georgian Orthodoxy, a factor defining the national identity and spiritual unity of the Georgian people. In the Cathedrals of Trier and Argenteuil, it set the stage for the mass veneration of this holy relic and a powerful pilgrimage movement. In Eastern and Western Christendom, the veneration of the Christ's Robe is linked to local historical and cultural contexts, in this way underpinning the specifics of artistic representation in compositions related to it. In Georgian art, similar to Western European examples, the Christ's Robe is part of the Passion Cycle, though it is also closely tied to national iconography, emerging as a symbol of state importance in the Middle Ages. For its part, Western European artistic tradition views the Robe, an independent religious symbol, mostly in close relation to the phenomenon of pilgrimage.

Our study explores how the same holy relic was perceived across two distinct historical and cultural spaces, revealing its unique visual representations in Eastern and Western Christian arts.

The Seamless Robe of Christ, one of the greatest holy relics in Christianity, is claimed by both the Eastern and Western Christian Churches as their own spiritual and material heritage. Different countries, namely Georgia, Germany, and France, have been proposed as the resting place of the Robe. Despite their common Christian foundations, the importance and the traditions of the veneration of the Robe of the Savior evolved differently, shaped by distinct historical and cultural contexts of the Orthodox East and the Catholic West.

Alongside delving into the contexts mentioned earlier, this study also seeks to highlight, in chronological terms, the artistic and iconographic characteristics of the Robe of Christ in Georgian art. In different eras and cultural environments, the Robe would acquire new forms and meanings. Their com-

plex research allows us to identify both the compositional peculiarities and the symbolic and theological meanings of them. Furthermore, it defines how attitudes toward this relic were shaped by artistic practice, how iconographic traditions developed across these two Christian worlds, and how the meaning of the single religious phenomenon transformed within different geographic and cultural settings. We believe studying these matters to be important because, until now, they have never been purposely examined in the field of Georgian art studies. Our research attempts to examine the phenomenon of the veneration and representation of the Robe of Christ in a single perspective/comparative lens, thereby establishing a new knowledge.

Georgian Christian tradition argues in favor of the Svetitskhoveli Cathedral in Mtskheta as the

resting place of the Robe of the Savior. According to historical sources¹, the Robe of Christ was brought to Mtskheta in the wake of the Crucifixion², eventually reshaping the local sacred topography, establishing the relic as the central/focal point of the local religious and symbolic scene. Narratives linked to this tradition, including the works of Saint Nino and the accounts of the miracles arising from the *Living Pillar or Pillar of Life* that grew above the buried relic, were instrumental/playd a pivotal role in shaping both the cult of the relic and its visual representation.

Thus, the Robe of Christ and the Living Pillar are intertwined at the Svetitskhoveli Cathedral, creating the milestone and symbol of the spiritual unity of the Georgian nation. It was imprinted upon the collective memory of the Georgian nation through narratives charged with deep symbolic meaning.

Starting from the conversion of Kartli to Christianity, along with creating images linked to the holy places from the Old and New Testaments, the city of Mtskheta transformed into the *Second Jerusalem* in the minds of the Georgian people. The burial place of the Robe of Christ at Svetitskhoveli Cathedral in Mtskheta was metamorphosed into a symbolic equivalent of the Holy Sepulcher³, serving as a locus where the ancient Jerusalem Rite was served⁴. The presence of the Robe of Christ and the Living Pillar in the cathedral's foundation acquired sacred and historical significance, with this phenomenon not only going to be linked to the story of Kartli's conversion, but also setting the stage for shaping the Svetitskhoveli Cathedral into a symbol of spiritual and cultural unity and defining national identity. Amidst the countless trials that befell the nation, Svetitskhoveli stood as a constant reminder to the Georgian people

of their divine election, a sacred status uniquely manifested in their possession of this holy relic. The presence of the Robe of Christ at Svetitskhoveli, in its historical or legendary form, has cemented the Georgian Church's foundation in the Christian world.

